ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3581657

ნომერი: AR1542853

თარიღი : 22.09.2017

გაცემის თარიღი : 13.10.2017

გაცნობის თარიღი : 13.10.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , ხატაეთის ქუჩა , N 41 / ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , ხატაეთის ქუჩა , N 39 / ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , ხატაეთის ქუჩა , N 39ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლუკა გოგლიძე პ/ნ 01019063777
- თბილისი პ.მამრაძის ქ. N 18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3288603 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 22

სექტემბრის №AR1542853 განცხადებით მომართა ლუკა გოგლიძემ და მოითხოვა, ამავე სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3288603 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3288603 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, სოფელი დიღომიში, ხატაეთის ქუჩა N41-ში, №39-ში და №39შ3ს შ3ს ,,ემიქსის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს.კ №01.72.14.036.735 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3288603 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გასწორებას და განმარტავს, რომ საცხოვრებელ ფართობად უნდა დაფიქსირდეს 5606 კვ.მ ნაცვლად 5504.0 კვ.მ-სა, საერთო ფართობად უნდა დაფიქსირდეს 6994.2 კვ.მ ნაცვლად 8134.2 კვ.მ-სა, საზაფხულო ფართობად უნდა დაფიქსირდეს 685 კვ.მ ნაცვლად 662.4 კვ.მ-სა, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად უნდა დაფიქსირდეს 703.2 კვ.მ ნაცვლად 769.8 კვ.მ-სა, განაშენიანების ფართობად უნდა დაფიქსირდეს 1001.3 კვ.მ ნაცვლად 1423.7 კვ.მ-სა, შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე უნდა დაფიქსირდეს 28.55 მ ნაცვლად 25.2 მ-სა, 0.00 ნიშნულის ზევით უნდა დაფიქსირდეს 28.1 მ ნაცვლად 23.2 მ-სა, 0.00 ნიშნულის ქვევით უნდა დაფიქსირდეს 0.45 მ ნაცვლად 2.0 მ-სა, სამშენებლო მოცულობა უნდა დაფიქსირდეს 27312.0 კუბ.მ ნაცვლად 34200.0 კუბ.მ-სა, 0.00 ნიშნულის ზევით უნდა დაფიქსირდეს 26880.0 კუბ.მ ნაცვლად 31464.0 კუბ.მ-სა, 0.00 ნიშნულის ქვევით უნდა დაფისირდეს 432.0 კუბ.მ ნაცვლად 2736.0 კუბ.მ-სა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურმა გამოიკვლია 2017 წლის 22 სექტემბრის №AR1542853 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა, შეადარა 2017 წლის 30 მაისის №3288603 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3288603 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკურ შეცდომა, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს 6994.2 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 5606 კვ.მ, საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს 685 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდეს 703.2 კვ.მ; განაშენიანების ფართობად დაფიქსირდეს 1001.3 კვ.მ, შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე დაფიქსირდეს 28.55 მ, 0.00 ნიშნულის ზევით დაფიქსირდეს 28.1 მ; 0.00 ნიშნულის ქვევით დაფიქსირდეს 0.45 მ; სამშენებლო მოცულობად დაფიქსირდეს 27312.0 კუბ.მ; 0.00 ნიშნულის ზევით დაფიქსირდეს 26880.0 კუბ.მ; 0.00 ნიშნულის ქვევით დაფიქსირდეს 432.0 კუბ.მ.

2. სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3288603 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3288603 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.